ბრძანება:ბ47. 47231732
თარიღი:22/06/2023

ბრძანება N 49

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 29 ივნისს დღის 12:00 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე #1 შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.04.21.097) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე #1 შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.05.23.006) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.2. 2023 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან,2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართლდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი